

## კატასტროფების რისკის მართვის გლობალური ინიციატივა (GIDRM) თემზე დაფუძნებული მიდგომები საქართველოში რისკზე ინფორმირებული განვითარებისთვის

### კონტექსტი

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები, როგორცაა მეწყერი, ნელა განვითარებადი მოვლენები, როგორცაა გვალვა და ზღვის დონის ზრდა, და ტექნოლოგიური ან ადამიანის ჩარევის მიერ გამოწვეული საფრთხეები ხშირად დამლუპველ გავლენას ახდენს ხალხისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობაზე. ურბანიზაციის თანმდევად არასრულფასოვანი ჯანდაცვის, გარემოს დეგრადაციის, მყოფე მმართველობისა და ძალადობრივი კონფლიქტების ფაქტორები, კატასტროფის რისკებს უფრო მწვავეს, რთულსა და მეტად ურთიერთდამოკიდებულს ხდის. კლიმატის ცვლილება აუარესებს ამ ფაქტორებს.

კატასტროფები გავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროზე, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეკონომიკა, მმართველობა, ტურიზმი, კრიტიკული ინფრასტრუქტურა (მაგ. საავადმყოფოები, ტრანსპორტი, წყალი, კომუნიკაცია), და შეიძლება დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეთ არსებულ, უკვე დასუსტებულ, კონტექსტში. პანდემიამ მრავალი ჯანდაცვის სისტემა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა. ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წნეხი გაუჩინა თითქმის ყველა სექტორსა თუ სფეროს. მზარდი ურთიერთდამოკიდებულებები, კომპლექსური საფრთხეები და რისკები გვამცხვამენ ვიპოვოთ ახალი და უფრო მედეგი მიდგომები კრიტიკული ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირების მიმართ არსებული რისკების შესამცირებლად.

რისკების სირთულისა და მრავალფეროვნების შესახებ მზარდი ინფორმირებულობის მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ არ არიან სრულყოფილად გათვალისწინებული განვითარების გეგმებისა თუ ღონისძიებების მომზადებისას. ამჟამინდელი მიდგომები ხშირად პასუხობენ მხოლოდ ერთ საფრთხეს დროის ერთ მონაკვეთში, როგორც წესი, ბუნებრივ საფრთხეს, რამდენიმე ახალი გლობალური საფრთხის ან რამდენიმე ერთდროულად წარმოქმნილი რისკის განხილვის ნაცვლად. კატასტროფები მოულოდნელად ანადგურებს მრავალწლიანი განვითარების მიღწევებსა და ამცირებს ქვეყნების სამომავლო განვითარების შესაძლებლობებს. მიღწევები, სიღარიბის შემცირების, დაავადებებთან ბრძოლის,

ჯანდაცვის, განათლებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით, მყოფე და ახლად წარმოშობილი საფრთხეებისადმი მოუმზადებელია. სისტემური რისკების გაგებისა და მათი მართვის სისუსტე საფრთხეს უქმნის კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამის (2015-2030) მიზნების მიღწევას.

### სახელმძღვანელო პრინციპი: რისკზე ინფორმირებული განვითარება

რისკზე ინფორმირებული განვითარების (RID) შესახებ დებატები სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო ასპარეზზე. განხილვის საგანია განვითარების გაგება, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთდამოკიდებულ, დინამიურ, ტრანსსასაზღვრო და, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთდროული რისკების ფართო სპექტრს.

### RID\_ის ძირითადი გზავნილები:

- განვითარება ხდება რისკების რთულ და გაურკვეველ გარემოში - ამავდროულად განვითარების მიმდინარე გზები უფრო სწრაფად ქმნის რისკს, ვიდრე ჩვენ მათთან გამკლავება შეგვიძლია.
- რისკი უნდა იქნას აღქმული, როგორც ურთიერთდამოკიდებული და სისტემური მოვლენა.
- კატასტროფების რისკის შემცირება საკმარისი არ არის – ჩვენი განვითარების გზები რისკზე ინფორმირებულ გადაწყვეტილებებზე უნდა ავაგოთ.
- მნიშვნელოვანია შესაძლებლობების გაძლიერებასა და ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე ზრუნვა, რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობისათვის.
- საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა და უთანასწორობის აღმოფხვრა რისკზე ინფორმირებული განვითარების ქვაკუთხედი.
- არ არსებობს უნივერსალური გეგმა - რისკზე ინფორმირებული განვითარება უნდა იყოს კონტექსტზე მორგებული, და იმდენად მოქნილი რომ მისი ხელახალი შეფასებისა და ადაპტირების საშუალება მუდამ არსებობდეს.
- რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება არის მდგრადი განვითარების წინაპირობა და მომავალი რისკის შექმნის თავიდან აცილების გზა.



**GIDRM საქართველოში**

საქართველოში GIDRM რისკზე ინფორმირებული განვითარებისთვის საჭირო საძირკველის შესაქმნელად მხარს თემსა და საზოგადოებაზე დაფუძნებულ მიდგომებს უჭერს. პროექტის მიზანია მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უკეთ დაცვა რისკების აღქმის გამრავალფეროვნების, მათი, სისტემური ბუნების გათვალისწინებით, შეფასების გაუმჯობესებისა და რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაძლიერების გზებით.

GIDRM ხელს უწყობს საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს (NEA) თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარებას, რათა დამწყებმა პროფესიონალებმა უკეთ გაიგონ და მართონ საქართველოში მეწყრული რისკები. პროექტის ფარგლებში საქართველოს მაღალი რისკის ზონებიდან ერთ-ერთში, გვესო (ცაგერი), მეწყერის საშიშროების მონიტორინგის სისტემა დამონტაჟდება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება საფრთხის შეფასების, მონაცემთა მართვისა და ანალიზის საკითხებში.

მონაცემთა გენერირებისა და შეფასების გზების გაუმჯობესებასთან ერთად, პროექტის ფარგლებში კლიმატის ცვლილებისა და ინფრასტრუქტურის მოწყვლადობისა და რისკის შეფასების ახალი მეთოდოლოგია პილოტირდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგზაო ინფრასტრუქტურისთვის. საჯარო ინფრასტრუქტურის საინჟინრო მოწყვლადობის კომიტეტის (PIEVC) პროტოკოლი უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ ჩარჩოს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას (1) კლიმატის მონაცემების სისტემატური გადახედვისთვის, (2) მომავალი კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი მოვლენების,

სიძლიერისა და ალბათობის პროექტირებისთვის, (3) კლიმატის ზემოქმედების შეფასებისათვის, (4) ინფრასტრუქტურის ადაპტაციური შესაძლებლობების შესასწავლისთვისა და (5) უფრო მაღალი რისკის შემცველი კომპონენტების აღმოსაჩენად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საფრთხისა და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული არსებული საუნივერსიტეტო პროგრამების საბაზისო შეფასება ჩატარდა, არსებული ნაკლოვანებებისა და შესაძლო გაუმჯობესების გზების დასადგენად, კონკრეტული შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების ჩატარების მიზნით. შემდგომში, უნივერსიტეტების დაინტერესებული წარმომადგენლები - ძირითადად სტუდენტები - ჩართულნი იყვნენ პრაქტიკული ცოდნის გაცვლისა და სავსე ვიზიტებში გვესოსა და სხვა სახიფათო ზონებში. აღნიშნულ სავარჯიშოებში ჩართვის შემდეგ სტუდენტებს დამატებითი მხარდაჭერა მოხილური ლაბორატორიული აღჭურვილობის გადაცემით გაეწიათ.

თემის დონეზე რისკების სისტემური გაგების ხელშეწყობის მიზნით, მოწყვლადი რეგიონების მუნიციპალური წარმომადგენლები გაივილიან ტრენინგს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი სხვადასხვა მონაცემთა ნაკრების ყოველდღიურ სამოქმედო გეგმებში ჩართვა შესაძლებელი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებისათვის ჩატარდება მცირე ზომის ზემოქმედების ჯაჭვის შეფასების სავარჯიშო, რომელიც ფოკუსირებული იქნება განსაკუთრებით საფრთხეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებზე, მიწათსარგებლობის პრაქტიკისა (სოფლის მეურნეობას) და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე. მეწყერი, წყალდიდობა და მსგავსი საფრთხეები იწვევს ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, მაგ., გზების გადაკეტვის ან ჯანდაცვის უზრუნველყოფის



შეფერხების გამო, მაგალითად, ელექტროენერჯის დეფიციტის ან სუფთა წყლის ნაკლებობის გამო. კონკრეტული ურთიერთდამოკიდებულების გაგება და შეფასება საშუალებას მისცემს თემის წევრებს მიიღონ რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებები საინვესტიციო, ადგილობრივი დაგეგმარებისა და რეგიონალური ადვოკატირების პროცესებში.

ზემოაღნიშნულის გარდა, GIDRM მიზნად ისახავს საქართველოში რისკზე ინფორმირებული განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნის მხარდაჭერას RID-ისთვის ხელსაყრელი გარემოს ექვს ძირითად განზომილებაზე ყურადღების ფოკუსირებით. ეს სფეროებია: (ფინანსები და რესურსები; ცოდნა და ინფორმაცია; კულტურა და ხალხი; თანამშრომლობა და კოლაბორაცია; ორგანიზაციული შესაძლებლობები; პოლიტიკა და რეგულაციები). პროექტი RID-ის ინტეგრაციის წერტილების პოვნასა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას შეეცდება.

ზემოხსენებული აქტივობების ერთობლიობა გამოიწვევს მაღალმთიან რეგიონებში რისკზე ინფორმირებული განვითარების უკეთ გააზრებას, ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებას სისტემური რისკების შეფასებაში და რისკზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას ადგილობრივ და მმართველ დონეზე სხვადასხვა თემებთან და აქტორებთან თანამშრომლობის პროცესებში.



გამოქვეყნებული გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ  
რეგისტრირებული ოფისები: ბონი და ემბორნი, გერმანია

კატასტროფების რისკის მართვის გლობალური ინიციატივა (GIDRM)  
ფრიდრიხ-ებერტ-ალეე 32 + 36  
53113 ბონი, გერმანია  
[info@gidrm.net](mailto:info@gidrm.net) | [www.gidrm.net](http://www.gidrm.net) | [www.giz.de](http://www.giz.de)

კონტაქტი  
ჟაკლინ ბეგეროუ  
[jacqueline.begerow@giz.de](mailto:jacqueline.begerow@giz.de) | +49 228 4460 1141

გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით  
განყოფილება 503- მმვიდობა და უსაფრთხოება, კატასტროფების რისკის მართვა

BMZ ბერლინი  
სტრესმანშტრასე 94  
10963 ბერლინი, გერმანია  
+49 (0)30 18 535-0 | [poststelle@bmz.bund.de](mailto:poststelle@bmz.bund.de) | [www.bmz.de](http://www.bmz.de)